


ლიცენზირებული საშუალო



საშუალოს მუნიციპალიტეტის ბაზეში „საშუალოს მოამბის“ დამატება
№9, 24 სექტემბერი, ორშაბათი, 2018 წელი

ევროპა და საქართველო

რუსეთს და საქართველოს ევროპასთან მიმართებაში თითქმის ყოველთვის სხვადასხვა პოზიცია ეკავათ და უკავიათ დღესაც. ამჟამინდელ რუსულ-ევროპულ ურთიერთობებს რთული შეიძლება ვუწოდოთ, რომლის საფუძველიც გახდა ევროპის ქვეყნების მიერ რუსეთისათვის სანქციების დანერგვა და უნდობლობის გამოცხადება, შპიონ-დიპლომატია, გაძევება რუსეთის აგრესიული და უპასუხისმგებლო საგარეო პოლიტიკის გამო.

ჯერ კიდევ ნიკო ნიკოლაძე წერდა, რომ „რუსეთს ევროპასთან სადავიდარაბო, საბრძოლო, არა აქვს რა, არც არაფერს ხეირს დააყრის ევროპასთან ქიშპობა. ევროპასთან შედარებით, ევროპასთან შეტაკებაში, ის ყოველთვის ყოფილა და იქნება უკან ჩამორჩენილ, უკუდამხევ მხარედ. რუსეთი ევროპას მარტო იმ მხრით უნდა ეხებოდეს, რომ განათლებას და განათლების იარაღს იღებდეს მისგან. ევროპა რუსეთისათვის არსენალად უნდა იყოს, რომლისგანაც იმას მზა-მზარეული ცოდნა, სინათლე, იარაღი და თესლი გამოაქვს, თავისი თვალუწვდენელი და ხელუხლებელი მინდვრების დასამუშავებლად, თავისი უთვალავი და უჩინარი ხალხის ცხოვრებაში სინათლისა და კეთილდღეობის შესატანად“.

საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას 1923 წელს წერდა, რომ საქართველო ევროპაში უნდა შევიდეს არა რუსეთთან ერთად, არამედ როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა. მისი აზრით, რუსეთმა ორჯერ აქცია ზურგი ევროპას (პეტრე I-ის მემკვიდრეებისა და ბოლშევიკების დროს, დღეს კი, ეს პროცესი მესამედ მიმდინარეობს პუტინის მმართველობის პერიოდში – ვ. შ), საქართველო კი მუდამ ევროპისკენ ისწრაფვოდა...

საქართველო თავისი ისტორიული და სოციალური ძირითადი შენობით ნაჭერია ევროპის, დასავლეთის კულტურის და მისი შუა გზაზე ძალით, უცხო ხიშტებით გაჩერება, მისთვის არაევროპული ურთიერთობის (იგულისხმება ბოლშევიკური სოციალიზმი, აზიური წარმოების წესი – ვ. შ) თავზე მოხვევა იქნება ხალხის სიკვდილი, ერის გადამენება. რუსეთს არ მოეღოს ასეთი გადაშენება, ვინაიდან ის თავის ისტორიულ საფუძველზე დგას. აზიელობა, ბოლოს და ბოლოს, უნდა გათავდეს ევროპიელობით. ეს ბუნებრივი მსვლელობაა, მაგრამ ევროპული ერის – საქართველოს გააზიელება ძალმომრეობით – ეს არის სრული არევა ბუნებრივი მსვლელობის, ეს სასიკვდილო ნახტომია... ჩვენი მომავლის რუსეთის მომავალთან გადაბმა ნიშნავს ჩვენს სავსებით განადგურებას არა მარტო პოლიტიკურად და ნაციონალურად, არამედ ფიზიკურადაც...

ბოლშევიზმის ხიდან დემოკრატიზმი ვერ ჩამოვარდება (ამის კარგი დასტურია პუტინის ოცნლიანი რეჟიმი დღევანდელ რუსეთში – ვ. შ) ეს შორეული ეტაპია. ამიტომაც გვინდა, რომ საქართველო ჩამოშორდეს დროულად ამ რუსულ ექსპერიმენტებს, აღადგინოს თავისი სუვერენობა და წინ გასწიოს თავის საკუთარი გზით.. ქართველი ერი უნდა შევიდეს საბოლოოდ ევროპის ოჯახში.

ანალოგიურ შეხედულებას კიდევ უფრო კარგად ასაბუთებს ცნობილი ქართველი ემიგრანტ-მეცნიერი, პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი. თავის ცნობილ სტატიაში „რუსეთი არ არის ევროპა“ (1955 წ.) იგი მიუთითებს, რომ „საბჭოთა კავშირი“, ისევე როგორც მეფეთა რუსეთი (ეს ეხება პუტინის რუსეთსაც – ვ. შ), არ ეკუთვნის დასავლეთს არც პოლიტიკურად და არც სულიერად. მართალია, ის დღეს იმყოფება თვით ევროპის შუა გულში, მაგრამ ის მაინც არ იქცევა

დასავლეთის ქვეყნად. მის აქ ყოფნას მძიმედ განიცდიან ევროპელები და თვითონაც უცხოდ გრძნობს თავს ამ უცხო მიწაზე. არ არსებობს საერთო საზომი რუსსა და ევროპელს შორის. ძირითადი განსხვავება მათ შორის, რომელიც შექმნა ისტორიამ, უცვლელი რჩება, მიუხედავად გაევროპელების ზოგიერთი სპორადიული ცდისა... გეოპოლიტიკა და ფსიქოლოგია ერთად მას ანიჭებენ ორიგინალურ ადგილს მსოფლიოში, რომელიც უფრო აზიურია, ვიდრე ევროპული...

ჯერ კიდევ ბერდიაევი წერდა, რომ „რუსეთის ხალხი მსხვერპლია მისი ქვეყნის ტერიტორიის სიდიდისა, რომელსაც ისტორიკოსები ხშირად თვლიან მიზეზად რუსეთის ხელისუფლების მუდმივი დესპოტური ხასიათისა.“

კლიუჩევსკი წერდა: „სახელმწიფო გაიბერა და ხალხი დაიღუპა“... მართალია, პეტრე დიდმა შეაღო დასავლეთის კარი, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ესარგებლა და გადმოელო დასავლეთის ტექნიკისა და იდეების მიღწევები რუსეთის სახელმწიფოს განვითარებისათვის („ევროპა, – ამბობდა ის, – ჩვენ გვჭირდება რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, შემდეგ კი საჭიროა ზურგის შექცევა“).

პოლ ვალერი წერდა: „ყველა რასა, ყველა მიწა, რომელიც თანმიმდევრულად იყო რომანიზებული და გაქრისტიანებული, – ექვემდებარება ბერძნული დისციპლინის შეგნებას, აბსოლუტურად ევროპულია... მოსკოვის რუსეთი არ შექმნილა ამ სამი მიმდინარეობის საფუძველზე. იგი არ იცნობს არც საბერძნეთს და არც რომს, იგი X საუკუნეში გაქრისტიანდა, მაშინ როდესაც ქრისტიანობას ბიზანტიამ უკვე თავისი კვალი დაამჩნია უფრო აღმოსავლური, ვიდრე დასავლური. მონღოლთა სამ საუკუნოვან ბატონობას არ შეიძლებოდა არ განემსჭვალა მისი სული აღმოსავლეთით, რომლიდანაც იგი ვერასოდეს გათავისუფლდება.“

სტატიაში – „საქართველო და ევროპა“ მიხეილ მუსხელიშვილი წერდა: „საქართველო ახლოს არის ევროპასთან და უცხოა რუსეთისათვის. საქართველო ევროპულია. იგი მონანილეობდა დასავლეთის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე. საქართველოს მზერა ყოველთვის მიმართული იყო დასავლეთისაკენ, სანამ იგი რუსეთმა არ დაიპყრო. იყო პერიოდი, როცა ქართველებმა შეიგნეს, რომ ისინი ევროპას მიეკუთვნებიან. ევროპა ახლა აკეთებს ამ დასკვნას. ასევე აუცილებელია, რომ ქართველებმა დაამტკიცონ თავიანთი არსებობა ევროპაში და მიაღებინონ საქართველო დასავლეთის ერების ოჯახში.“


მიხეილ მუსხელიშვილმა თავად ითავა ეს საქმე. სწორედ მისი აქტიური მუშაობით შეიქმნა 1952 წლის ნოემბერში „ევროპული ქართული მოძრაობა“ (საპატიო თავმჯდომარე – პროფესორი მიხაკო წერეთელი), რომლის ძალისხმევითაც იყო, რომ 1999 წელს, დამოუკიდებელი საქართველო ევროპის საბჭოს წევრად მიიღეს, 2017 წელს კი ასოცირებული ხელშეკრულება და ვიზალიბერალიზაცია გაუფორმეს.

მუსხელიშვილს ღრმად სწამდა, რომ „მხოლოდ ევროპის თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა ასოციაციაში განწევრიანების შემდეგ შეძლებს ქართველი ერი დაიცვას თავისი ინდივიდუალობა, თავისი კულტურა და თავისი ტრადიციები და თავი დააღწიოს რუსულ-აზიურ იმპერიაში შთანთქმის საშიშროებას“.

ვაჟა შუბითიძე
თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ლიტერატურა

ბანსინიძე



გიორგი გელაშვილი

გიორგი გელაშვილი ქობულაძის სტუდიის განყოფილებაში მარტოსული პროექტის განხორციელებაში. მისი საგზაო და ყავარაყვინიერ ალბომ-მართალი კარგა და პოეზია. ის კი, თუ როგორ იქნება მისი ხვალის დღე – თქვენზე, ჩვენზე და იმაზე დაამოკიდებული, ვისაუკველდეთ ესალომება, ვისაუკველდეთ და ფიქრობს, რომ მათ გარეშე სიწმინდის ერთი ნაშთი არ ისურვებდა.

შევჩვენო არ უნდა, ვის უფრო სჭირდება მხარდაჭერა, – ქობულაძის სტუდიის როლის „საუკეთესოდ“ შემსრულებელს თუ – კარს, პოეტს, რომელმაც შედგინა ზღაპრული ვაჭარა...

ქვიშის დიდი ყინვის სახე-მსახერის ამგვარს ვულოცავთ დაბადების დღეს. მხნეობას და სულის სიმშვიდეს ვუსურვებთ ქობულაძის გზაზე.

კლარა გელაშვილი

ჩემი ოცნების ბგბ

ფილიპის

მზით დავიბადე,
ომის დროს გავჩნდი
ერთი თავიდან
და ახერხებულა
არ მიძინებია
ქვეყნად სიმდიდრე,
არ მიძინებია
ოქრო და ვანდი.
ვუფრთხილდებოდი
სინდისს და ნამუსს,
გამონაწვავლი
ჩავიყვია, ვკერე.
ვუფრთხილდებოდი
კარგის სახელს,
თუმცა, არ მრგებია
სანაწვლო მერე...
არ დავრჩენილვარ
იმედად სხვების
და არც მქონია
ძვირფასი თვლები.
ჩემი სიმდიდრე
ჩემი ხალხია,
მზის სინათლეა
ჭარმაგი წლები.
არ ვულალოცებ
ჩემს მრწამსს და რწმენას,
ამ რწმენის გზაზე
დავიქანწები,
თუმცა, ვაი, რომ
ქვეყნის ზნეობას
პატივს არ სწემენ
არ აკარებენ!

ჭიალი უამი, ო, სრბოლა წლების
თქვენს ლამაზ სახეს ჭაღარით მორთავს,
სიზმრად გაპყვება ზავშობა დღეებში,
თქვენ, ჩემო დარდო, თქვენ, ჩემო ორთავ!
ღვთიური მადლი, ღმერთი სათნო
გზას გინათებდეთ უკუნში მუდამ,
თუმცა კი არსებობს შური და გესლი, –
ავს ნუ გაივლებთ, ამდღედეთ უნდა!
მოკლე, ნარმაველი ნუთისოფელში
ყველას მფარველი ღმერთია მხოლოდ,
მიეწოდეთ უფალს, ის გაპოვინებთ
ჭეშმარიტების სანდისს და ზოლოს.
თქვენი სანდისის კიდესთან თერთად
ღამეებში ვტეხდი, ნაღველით სავსეს,
თავს გველვებოდი, გეფერებოდი
ჩემს ერთადერთ განძს ამ ქვეყანაზე.
და განუყრელად, სულ ჩემთან არის,
ვით საგანძურის ძვირფასი თვალი,
შემორჩენილი კედელზე ფანქრით
თქვენი პატარა ხელების კვალი.
უთქვენოდ აქ მზეურ მონყენილია,
გული სულ მუდამ ფიქრებში ზორგავს,
თქვენს გზა-კვალს ვლოცავ,
თქვენს ნაფხურებს,
თქვენ, ჩემო დარდო, თქვენ, ჩემო ორთავ!

* * *
კლარა გელაშვილის

ჩემი სისხლი და ჩემი ხორცი ხარ,
მაგრამ ამიტომ არ გეფერები!
იმისთვის, – ყველას დარდი რომ გტკივა
და გსურს ყველასთვის იისფერები.
როცა თუ დარჩა დღეს ქვეყანაზე,
ვისაუკველდეთ ვისიმე ზედი,
ვისაუკველდეთ დარდი, ფიქრი ღლის
და გაუდული სამშობლოს ხვედრი.
ვირი, შენს შვილებს, ვერასდიდებით,
ვერც ოქროსფერმა ვერ მოსჭრა თვალი,
ხატად სამშობლო გაპყვებათ მუდამ,
ფარად კი, – ლოცვა ქართველი ქალის!

ვისენებ სოფლის მჭირალა წნორებს,
წარსული წლების სურნელი მათრობს,
გავხედავ სევდით დაბინდულ შორეთს
და ჩემს უღარდელ ზავშობას ვნატრობ.
გამახსენდება პატარა მესრე, –
ნახირს სიმღერით მოპყვება თავქვე,
ახლარ, გარდასულ დღეების მერე,
მინდა, იმ სოფლის ზილიკებს გავყვე.
მესრეს ამაყად უღიმის სახე,
გალოღებული, მზისგან დამწვარი,
უჭირავს იფნის მოქნილი სახრე,
არტყია ნელოზე ლახტის ქამარი...
ახლარ ჩამესმის სხეული დედის
ლოცვა-ყურთხევა და ჩუმი კვნესა,
ასე მგონია, დაღლილი მკერდი
დედის ღმერთით მიტებდა დღესაუკუნე...
ვისენებ სოფლის მჭირალა წნორებს,
წარსული წლების სურნელი მათრობს,
გავხედავ სევდით დაბინდულ შორეთს
და ჩემს უღარდელ ზავშობას ვნატრობ...

ქვიშის

როს მენატრება შენი სერები
შენკენ მოგყავარ შორიდან სიზმრებს,
ძილში ვუღიმი და ვეფერები
ჭოლებთან ნარბენ გზებსა და მინდვრებს.
თავს შევიყრიდი ზიჯები, მახსოვს,
ველოზე ყვავილთა სურნელი იფავ.
სოფლის ნახირი იქ მოვდა, ახლოს,
ჩემი „ლაშა“ სულ თვალნი მიდგას...
შენთან დავტოვე, ჩემო სოფელო,
დღეები ტკბილი და მხიარული,
შორეულ გზებზე თან დამყვებოდა
შენი ხატება და სიყვარული.
ჩემი ზავშობის ტკბილი ზმანება,
შენს ყოველ ზილიკს ველოცებნი,
ჩემო სამშობლო, შენ შემოგვევლოს,
ჩემი გული და ჩემი ღმერთი!..

მოგონებათა სიღრმე



მხეული ცემქლაშვილი

შელოცვა ღამით

ჩემი მშობლები საბჭოთა პერიოდში დაიბადნენ. მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში მორწმუნე იყვნენ, რასაც მათი მშობლების დამსახურებად მივიჩნევ. ყოველი დაძინებისას მამა პირველად გადაიხრებდა და იტყოდა: – ღმერთო, შენ მიმყოფე ჩემი წოლ-შვილი კარგადო! თითქმის იმავეს აკეთებდა დედაც და სხვა მხრივარ ეტყობოდათ, რომ არა მარტო სწამდათ, არამედ შიში და მოკრძალებაც გააჩნდათ ღვთის მიმართ.

სხვათა შორის, არც ზაზა და არც ბებია ნერა-კითხვა არ იყო, მაგრამ ფლობდნენ შინაგან კულტურას, რაც მათ ქრევამ, სიტყვა-პასუხსა და მიმართვის ფორმებში აისახებოდა. საზღვრისას ხშირად იყენებდნენ გამოთქმებს: „შენ ხარ ჩემი ბაბონი“, „რას ზრძანებ“, „როგორც ინებნებ“, „ბოდიში მომიხივია“, „თუ ღმერთმაც ინება“ და ა. შ.

შესანიშნავი მუხრე იყო ზაზა. კარგი მოლაპარაკე და სასურველი თამადა. ზეპირად იყო ზეპირი ზღაპარი და თქმულება, რომელსაც ისე საინტერესოდ მოყვებოდა, რომ ათჯერ მოყოლილს მეთერტმეცადარ სიამოვნებით მოისმენდით.

ბებია მუხრე ქალი იყო, ძველი ყაიღის. თანგადაყოლილი ოჯახსა და ქმარ-შვილზე. კარგად მახსოვს, ბებია ერთსტროფიანი ლექსი დაგვასწავლა ზავზე და გვიჩვენა: თუ ამ ლექსს ძილის წინ წარმოვთქვამდით და პირველსავე გადავიხრებოდათ, – წყდ სიზმრებს აღარასოდეს ვნახავდით და დილით ჩივიდით ნამოვფრინდებოდათ ზეზე. ახლაც მახსოვს ეს ლექსი:

„ღაღაღები, დამეძინება,
პირველი დამეძინება,
წხრა ხატი, წხრა ანგელოზი
სასაყმალოს დამეძინება!“

ნელინადის თვეებს, როგორც ბებია, ასევე ზაზაზე ძველქართულით იტყოდა: აპნისი, სურწყისი, მირკანი, იგრიკა, ვარდობისთვე, თიბათვე, მკათათვე, მარამომბისთვე, ენკენისთვე, ღვინობისთვე, გიორგობისთვე და ქრისტესობისთვე, – ჩამოვირაკრავდნენ თითებზე.

ნელინადის უმძველიერეს დროს – შემოდგომას მოიხსენიებდნენ, როგორც „სთველს“. კარს მოგვადგა სთველით, ცაროსი შეიყვალათ, – იტყობდნენ ამინდის შერვლისას. ზავზე კი, ამ სიტყვებისა ნაკლებად გავიგებოდა და, უბრალოდ ვიწინოდი!

ერთხელ ზაზას ვკითხე:

– ზაზა, ნერა-კითხვა რომ არ იყი, წოლი როცა შეირთე, ხელი როგორღა მოანერეთ შენ და ბებია-მეჭი.

– ხელის მონერა არ იყო მამინ. ეკლესიაში მღვდელმა დაგვწერა ჭვარიო, – იყო პასუხი.

დაქორწინებისას რომ ხელს აწერდნენ, ეგ ვიწოდო. რაც შეეხება ჭვრის ნერას, – ზაზასაგან გავიგე პირველად.

ახლა „შელოცვა ღამის“ შესახებ. თვით ტერმინი, აღბათ, ჩემმა მშობლებმა თავის მშობლებისგან ისწავლეს. მე კიდევ, როგორც დამამახსოვრდა, ზუსტად ისე მოგიყვებით:

„შელოცვა ღამე“–ს წამეტი იანვრის ღამეს უწოდებდნენ ქვემო იმერეთის სოფლებში. მეორე დღეს (თითხმეტი იანვარს) ძველით ახალი წელი უნდა გათენდეს. ამ ღამის შესახებდრად თადარიგს ადრიდანვე იჭერდნენ. ჯერ ბინას დააკრავდნენ საგანგებოდ, შემდეგ კი ვახშმის მომზადებას იწყებდნენ. ყოველივე ამას ქალები აკეთებდნენ მზრდილი გოგონების ჩართულობით. მამაკაცები კი, ძირითადად შეშის, წყლისა და ღვინის საქმეს განკარგავდნენ, რაშიც დიდი ზიჯბერ (თუ ასეთები იყვნენ ოჯახში) მკვლობდნენ.

„შელოცვა ღამის“ შესახებდრად მამა ორ-სამ კარგად ჩასუქებულ დედალს დაკლავდა. ერთი დედლისგან, მზრდილი ქვამში, დედა შავ ხარხოს გააკეთებდა. არაჩვეულებრივი ხელი ქონდა დედას და გემრიელ კერძებსაც ამზადებდა. მიუხედავად ამისა, მეჩვენებოდა, რომ შელოცვა ღამისთვის გაკეთებულ ხარხოს განსაკუთრებული გემო ჰქონდა და ღამითან ერთად მის ჭამას არაფერი სჯობდა!

ამ ბედნიერი დღისთვის, უფრო სწორად, ღამისთვის დიდ გობში ჩადებდნენ სამზადი ღორის თავს (რა თქმა უნდა მოხარშულს), გასუფთავებულ, მოსახარშ დედალს (დედლებს), მჭაღებს, პურს, ხაჭაპურებს, ტკბილეულს (ჭანჭახი, ტკბილი კვერი, მურაბა ქლით, კანფეტები...) და ხილს.

სანოვანთან გობს გვერდით წოლიკაურის ღვინით სავსე ღოქს მიუდგამდნენ. დაანთებდნენ სანთლებს. ერთ სანთელს გობზე მიამაგრებდნენ, მეორეს

– ხორცი (ხარხოთი) სავსე ქვამს, ხოლო მესამე სანთელი საღვინე ღოქზე კიაფობდა!

ყოველივე ეს, ვიზუალურადარ ღამაში იყო და სიუხვის დატვირთვარ ჰქონდა.

შემდეგ, ოჯახის უფროსები კერის (ჩვენს შემთხვევაში, ბუხრის) წინ ჩამოხლებდნენ, პირს აღმოსავლეთით იზამდნენ და ღოქსავს ალაგობდნენ:

– ღმერთო, მშვიდობა მოგვერი და ზარაქას ნუ გამოუღვე ჩვენს ოჯახს. მატება იყოს და უფროოდ წურავის ნაიყვან!

გადანერდნენ პირველს, გობს, ქვამს და ღოქს ნაღმა დაატრიალებდნენ და იტყობდნენ:

– ასე ნაღმა იაროს ჩვენმა ოჯახმაო და, მხოლოდ ამის შემდეგ მივუსხდებოდიო სუფრას. ამჟამად, უკვე ღვინით დაილოწებოდნენ უფროსები და ღმერთს ბედნიერ ახალ წელს, ოჯახისა და ქვეყნის სიძლიერეს შესახებდნენ. სურვილის შემთხვევაში, ზავზედარ შეგვეძლო, გვეთქვა რამე, დაგველორა ან სურვილი ჩავგვეთქვა...

და ყოველივე ეს ხდებოდა მეორე საყყუნის სამორიან წლებში, – როგორც იმერნი იტყვიან:

„გაგანია კომუნისტების“ დროს!

ბატონობის სტუმარი

იმერეთში, როცა მოზარდს საყმანვილო სენი შეყყრება, – ბატონები დაუბრძანებო, იტყვიან.

ჩვენც დაგვიბრძანდა წითელა ბატონები, თან ოთხივე დას ერთდროულად. ოთახის ყველაზე წათელ კუთხეში მოყწყეს ბატონებს ხონჩა და, რა გინდა, რომ იქ არ ელაგა: მურაბა, პატარა ქლით, ფოჩიანი (ყმეტესობა წითელი ფერის) კანფეტები, ჭანჭახები, ტკბილი კვერი (გამომშრალი ფელამუში), ღოყანითელი ვაშლოები, წითელი ზაფთები და ასეთივე ფერის ბუშტები! წელიან ღარნაკში კი ახალ-ახალი ყვავილები ელაგა.

ოჯახში, რომელსაც ბატონები უბრძანდებოდა, ბატონების ნებართვის გარეშე არაფერი გაკეთდებოდა. სულ ბატონობით, ბოდიშებითა და მონინებით მიმართავდნენ:

– შენი მუხლ-კაღთის ჭირიმი, ბატონებო! ესა და ეს საქმე რომ გავაკეთო, ხომ არ გამიბრაზდები?

– რა მოგართვა, რას ინებებ. ესა და ეს საყმელი ხომ არ გესამოვნება? და ა. შ.

– ოთხივე ერთდროულად იკადრეს ბატონებმაო! – იტყოდა დედა და სიტყვა „იკადრეს“ განსაკუთრებული ტონალობით წარმოსთქვამდა და როცა ზავზედარ სიუხე აგვიწევდა და მადარ გვეარგებოდა, – დედა და ბებია წარამალა გვიწვლიდნენ შუბლოზე ძმრიან ტილოს.

– ექიმი ხომ არ მოგვეყვანა? – მორიდებით თქვა დედამ, როცა ერთ-ერთ დას სიუხემ ოყდაწრამეჭამლე აყნია.

– ბატონები გაზრაზდებანიო, – შორს დაიჭირა სიტყვა ბებია და დედას გასამხნევეზლად, იმედიანად თქვა:

– ღმერთი არ გავგინიავს. მაღე დაყნევს ზავზედარ სიუხე და მადარ გაესხნებაო.

ამ ყოფაში ვიყავით, როცა ეზოში ვილარა შემოვიდა და დაიძახა. მაღე, დედა ოთახში შემოუძღვა წითელ კანამში გამონყობილ განო ბებიას.

ბატონებთან მიღებული ქალი იყო განო ბებია. არ ყოფილა შემთხვევა, რომ განო ბებიას მისვლის შემდეგ ბატონებს თავი უყეთესად არ ეგრძნობო, რის გამოს დიდ პატივს სწემდნენ სოფელში.

ხაჭაპურები მოგვართვა სტყუმარმა, რომელიერ იმით განსხვავდებოდა ჩვეულებრივისაგან, რომ ზემოდან ოთხი წითელფოჩიანი კანფეტი ჰქონდა ჩარჭობილი და... ძალიან უხდებოდა!

– აბა, ტაში ბატონებსო! – შესძახა განო ბებია შემოსვლისთანავე და ჩვენი მონონებული ხაჭაპურები მაგდაზე დაღო. ვილარამ პატეფონი მომართა და სტყუმარმარ გაშალა ხელები! ისე მოხდენილად ჩამოყარა განო ბებია, რომ თვალს ვერ მოსწყვედიო!

ამის დამახავამა ზავზედარ თვალები ვყყიჭეთ და შემდეგ, სანოლოზე ნამომჭადარნი, დიდხანს ვყყრავდით ტაშს!

ბოლოს, დედა გაინვია განო ბებია საყყვაროდ. დედამ ჩვენ გადმოგვხედა. ჩვენ კიდევ, თავის დაკვრით თანხმობარ გავყერთ და თხოვნარ – არ გაენბილებინა სასურველი სტყუმარი.

ყოცა მოგვიანებით, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ ბატონების ხართით ჩაიყვა განო ბებია ის წითელი კანა. სხვა დროისთვის კი, მის ახოვან ტანზე მუქი კანები უფრო მინახავს.

წასვლის წინ განო ბებია ოთხად გავვიჭრა საჭაპური (ოთხივე ნაჭერს თითო კანფეტი ამშვენებდა) და სათითაოდ ჩამოგვირიგა. ჩვენც მადიანად შევექერეთ და ზედ ტკბილი კვერიც დავაყოლოეთ.

ეგ იყო და ეგ. როგორც იმერეთში იტყვიან, პირი აგვეხსნა და მეორე დღესვე მერჩხლებივით ნამოვფრინდით სანოლიდან!

ჩანახტი

უპასუხო მამის ქალი

(ნანი გაჩეჩილაძეს)



ნკაპ-ნკაპ...ერთი, ორი, სამი...
 თანმიმდევრობით ვწყდებით
 ხიდან ზოგი სუსტი, ზოგიერ
 უკვე შემდგარი წვეთები, რათა
 დავბრუნდეთ იქ, საიდანაც ერთ
 დროს ნისლად „ავმალდით“...
 რეალობას ვერ ვაგუბნი,
 წხოვრების სისასტიკე მზარავს,
 საკუთარი უსუსურობით დასჯილს

რამდენჯერმე მწარედ აღმომახდა: „ნუ მიმატოვებთ!!!“
 ჩემს თვალწინ უკვე რამდენიმე წვთი ჩამონყდა და საოწარო
 კვალი დატოვა... ნელ-ნელა სიწარბილე ისაფრებდა. ქრება სილაღე,
 მოდის ტკივილი, მონატრება, მოდის სინანული გაუფრთხილებლობისა,
 მოუფერებლობისა... მოდის სასჯელი მარტოობისა და რიგი მინაზე თუ
 მინაზე დაქრებისა...

– ნუ მიმატოვებთ! – ვიმეორებ და ვედრების თვლით ვუძებნე ჩემს
 წინ მიმავალთ, მაგრამ ამაოდ...

წლების წინ რამდენიმე ახლოდანი ადამიანის ზარი „შემომწყრა“...
 უსაძველო, უიმედო და გაუსაძლისი ტკივილებს გაპყვინენ ჩემი უფროსი
 მეგობრები... თითქოს სხეულს რაღაც ნაწილი მოსწყდა... ვერ დავვივინე!
 – ხეივანს არასდროს ავინყდებ დაკარგული სახსარი...

და აი, ახლაც, ყურმილს ვწვდები, ზარს ვუძებ და გაბმულ ზუმერს
 საოწარო, მდგომარეობისთვის შეუფერებელი სიმშვიდით ვუსმენ.

თუმცა, ვიცი, ახლა უპასუხო ზარის უამრავი დგას!

ამიტომაც არ ვიძახებ, შემდგარი საუნარი არც თემას ითხოვს და
 არც განწყობას. ვუსმენ, ვგრძობ და მესმის კიდევ, როგორ ისმის
 ჩემი გულის ხმა იქ, ჩარაზულ კარს მიღმა. ზარის სახით ვაღწევ
 დახურულ სივრცეში და მისივე ხმით ვაღვიძებ მოლოდინით ჩათვლებილ,
 თვალგამოღამებულ, კითხვის ნიშნად ქრეულ საგნებს. ახლა მე იქ ვარ,
 მისეულ სამყაროში. ამ გზით შევძელი, შემეღწია და გაბმული ზარით
 დამერღვია გაბატონებული მყუდროება. ნკრიალ-ნკრიალით ვაწყდები
 კარს, კედელს, ვაღწევ ყველგან და ყველგან. ვაღვიძებ, ვაფხიზლებ,
 ვაძიებ, რომ ის ისევ მოვა... მოვა და აზვირთდებიან ტალღები,
 აჩრდილებიან ნათურები და აფსუსდებიან მუხები... სამუშაო რეჟიმს
 დაბრუნდება ტელეფონის ყურმილი... ამინ!..

„მოგზაურობით“ კმაყოფილი საკუთარ თავთან ვბრუნდები, უხილავი
 კავშირი შედგა!..

ზავდება გამახსენდა... უფროსი მეგობრების შეძენით მიღებული სიკეთით
 განმენდილი, სავსე და ძლიერი კალაპოტი... ასეა დღემდე, თუმცა,
 ძნელია უმზირი, შენს ირგვლივ როგორ უმონყალოდ ამხსვრევს ზუნება
 ერთ დროს უძლიერეს, ან უკვე დაქარულ ტოტემს და შიშით წახსენებ...
 თვლით ზომავე მანძილს მინამდე და რხევით-ქარის სისძირეს...

იქ ვერ შევალწევ... ხელოვნური სუნთქვის აპარატს არც გრძობა აქვს
 და არც თვალები... სიკეთეს ველი და თურმე, უპასუხო ზარზე ძნელია
 სასწაულის მოლოდინი...

იმედს არ ვთმობ, რომ დროებითაა უამრავი უპასუხო ზარისა, ჩვენ
 გავიმარჯვებთ!..

* * *

ჰოი, და ნანა...
 მზერა სად არს თვალთა შავთა,
 მხოლოდ გული გიძგერს განა?!
 და თუ მაინც ოხვრა ესმის, –
 რად არ გვიხსნის დარდისგანა!..
 სად შენ, სად ეგ გარინდებ! –
 რეჟისორი ვერ დგამს დრამას,
 როცა როლი არ გიხდება, –
 გამოგთიშოს, უნდა, თამაშს!
 ჰოი, და ნანა...
 ნუთი არ არს შენი ყოფის,
 რომ არ ახლდეს დარდი თანა,
 არცერთ ნაპირს ეკარები,
 თუ აირჩევ, გაღმით – არა!
 ფოთლოვით გარბევს ქარი,
 სუნთქვა მეკვრის, ძალას ვიკრებ,
 შემოგვაკლდა შენი ქნარი,
 სად, ვისთან, როგორ მოვიქცეთ?!
 ქარი ქრის და ვერას შევრვლი,
 მესხვით რომ ჩამოვიქცე!..
 ჰოი, და ნანა...

ელენა გელაშვილი



24 სექტემბერს, ხაზურის სამუსიკო სკოლის პედაგოგი ფატი
 სადალაშვილი მის მოსწავლეებთან – ლიკა კალმახელიძესა და სოფიო
 ნოზაძესთან ერთად ისრაელის ქალაქ რფატში გამართულ საზღვარ
 მუსიკალურ ფესტივალზე „ჩრდილოეთის წისარტყელა“ მიემგზავრება
 ხაზურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით. აკომპანიმენტს გაუწევს
 ნიჭიერი კონცერტმანისტერი – თამაზ აზრაძე.
 ხაზურის მაჟორიტარი დეპუტატის, ზაქონ სიმონ ნოზაძის
 შუამდგომლობით, წმინდა მინაზე, ჩვენს ნიჭიერ შემსრულებლებს
 ბიზნესმენი, ზაქონი შოთა შალელაშვილი უმასპინძლებს.
 წარმატებებს ვუსურვებთ ფატის და მის ჯგუფს.

THE ORGANIZERS OF THE FESTIVAL:
 THE MUNICIPALITY OF ZFAT AND INTERNATIONAL PRODUCTION COMPANY «FESTIVAL STARS» (ISRAEL)

8-th International Children and Youth Festival-Competition
"Northern Rainbow 2018"

CONTEST CATEGORIES:

- ✓ CHOREOGRAPHY: DANCE GROUPS, BALLET
- ✓ VOCAL ART (CLASSICAL AND POP SINGING)
- ✓ INSTRUMENTAL MUSIC: PIANO, STRING INSTRUMENTS (VIOLIN, CELLO, GUITAR, ETC.)
- ✓ WIND INSTRUMENTS (CLARINET, FLUTE, OBOE, ETC.), ENSEMBLES AND ORCHESTRAS
- ✓ CIRCUS ARTS

Will be held in Zfat (Israel) September 26-27, 2018

Age categories:
 • from 3 to 10
 • from 11 to 14
 • from 15 to 18
 • 19 and older

Applications for participation should be submitted by September 20, 2018.

INFORMATION SUPPORT:
 RADIO STATION RBSA,
 WWW.ISRAELSTARS.COM

Please send your personal information to the following e-mail:
 elena604@gmail.com, tel: 972-52-5677545, fax: 972-0-9921596, Elena

www.israelstars.com keshet-betsafon.ib7.info